

სწავლების საფეხური	პროფესიული, III საფეხური
სპეციალობა	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი
პროგრამის ტიპი	აკადემიური
პროგრამის ხელმძღვანელი	სულიკო ბერიძე - აკადემიური დოქტორი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ფორმა	დღის სწავლება
პროგრამის მოცულობა	45 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ამ პროგრამის II საფეხური ან წარმოადგენს შესაბამისი პროფესიული განათლების აღიარების დოკუმენტს.
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ფორმატი	ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობა
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი“ ორიენტირებულია განავითაროს სტუდენტთა ინტერესი და ცოდნა მეცხოველეობის დარგის მიმართ და მოამზადოს მაღალკვალიფიციური ვეტერინალური მომსახურების სპეციალისტი. III საფეხურის პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ვეტერინარიის მნიშვნელობა, შინაური ცხოველებისათვის სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, სამკურნალო პრეპარატების მნიშვნელობა, მათი გამოყენების წესები სხვადასხვა დაავადებების დროს.
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	<p>ცოდნა და გაცნობიერება აქვს ცოდნა შინაურ ცხოველთა ანატომიის, ცხოველთა ქირურგიის, პათოლოგიის და ეპიზოოტოლოგიის, სამკურნალო პრეპარატების შესახებ. შეუძლია განსაზღვროს დაავადებების ხარისხი, ეტიოლოგია და ჩაატაროს მკურნალობა არსებული დაავადებების შესაბამისი დიაგნოსტიკური შედეგების მიხედვით.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების შერჩევა, დაავადებების მიმართ მკურნალობის სათანადო მეთოდის მისადაგება.</p> <p>დასკვნის უნარი ვეტერინარულში შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად შეუძლია გამოიყენოს არსებული ინფორმაცია და გამოავლინოს დასკვნის დამოუკიდებლად გაკეთების გარკვეული უნარი.</p> <p>კომუნიკაციის უნარი შეუძლია ვეტერინარიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე. შეუძლია ურთიერთობა პედაგოგებთან და სტუდენტებთან. ფლობს უცხო ენას საბაზო დონეზე.</p> <p>სწავლის უნარი შეუძლია ვეტერინარიის საკითხებზე ლიტერატურული და ინტერნეტ წყაროების მოძიება, დამუშავება, სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების დაგეგმვა.</p> <p>ღირებულებები იცნობს უნივერსიტეტის ეთიკურ ნორმებს, გაცნობიერებული აქვს ვეტერინარიის მნიშვნელობა ქვეყნის სასურსათო პრობლემის გადაჭრის საქმეში.</p>
დასაქმების სფეროები	სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობებში, სასოფლო - სამეურნეო ან დარგობრივი წარმოებებში.
აკადემიური რესურსი	პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტზე მოწვეული აკადემიური დოქტორები და პრაქტიკოსი ვეტერინარები
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	სასწავლო პროგრამის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია ფაკულტეტის სასწავლო-საცდელ ბაზაზე, ბათუმის კერძო ვეტერინალური კლინიკა, ხელვაჩაურის მეცხოველეობის ფერმა, ხელვაჩაურის მეფრინველეობის ფაბრიკა.

<p>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. მოიცავს 45 კრედიტს. საიდანაც 25 კრედიტი ეთმობა ძირითადი დისციპლინებს, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასათვის გათვალისწინებულია 20 კრედიტი.</p> <p>სასწავლო კურსები</p> <p>უცხო ენა - 4 კრედიტი</p> <p>ქართული ენა მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი</p> <p>ინფორმატიკა - 3 კრედიტი</p> <p>სასოფლო სამეურნეო ცხოველთა ანატომია - 4 კრედიტი</p> <p>სასოფლო სამეურნეო ცხოველთა ინფექციური დაავადებები და ეპიზოოტოლოგია - 4 კრედიტი</p> <p>სასოფლო სამეურნეო ცხოველთა ზოგადი ქირურგია - 4 კრედიტი</p> <p>ვეტერინარული ფარმაცია - 3 კრედიტი</p> <p>სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა - 20 კრედიტი</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; <p>საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება • დასკვნითი შეფასება <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტი • ზეპირი გამოკითხვა • პორტფოლიო • ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი • დაკვირვება და დემონსტრირება